



434/3-77/22 2 18012022

434/3-77/22

18-01-2022

საქართველოს ეკონომიკისა და  
მდგრადი განვითარების სამინისტროს

მოგესალმებით,

2022 წლის 10 იანვარს ეკონომიკის მინისტრმა, ქალბატონმა ნათია თურნავამ, განაცხადა, რომ ის აქტიურად არის ჩართული ინფლაციის მოთოკვის პროცესში.

ციტატა : „ჩვენ არ ველოდებით ამ მომენტს და ამ ეტაპზეც აქტიურად ვერევიტ ფასების დასტაბილურების პროცესში, ინფლაციის მოთოკვის პროცესში“.

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გთხოვთ, მომწოდოთ ინფორმაცია კონკრეტულად როგორ ერევა და რა ინსტრუმენტებს იყენებს ეკონომიკის მინისტრი ფასების დასტაბილურებისა და ინფლაციის მოთოკვის პროცესში.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი  
ალექსანდრე რაქვიაშვილი



KA020113105661422

საქართველოს  
ეკონომიკისა და მდგრადი  
განვითარების მინისტრი



MINISTER OF ECONOMY  
AND SUSTAINABLE  
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს 2  
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05  
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 14/392

28 / იანვარი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს ბატონ  
ალექსანდრე რაქვიამვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი მიმდინარე წლის 18 იანვრის N 434/3-77/22 წერილით წარმოდგენილი შეკითხვის პასუხად, თუ „როგორ ერევა და რა ინსტრუმენტებს იყენებს ეკონომიკის მინისტრი ფასების დასტაბილურებისა და ინფლაციის მოთოკვის პროცესში“ მოგახსენებთ:

2021 წლიდან მსოფლიოს მასშტაბით დაიწყო ფასების ზრდა, რაც ასევე აისახა საქართველოში ინფლაციის დონეზე. ინფლაცია გლობალური გამოწვევაა და ფასების ზრდის მაჩვენებელმა არაერთ ქვეყანაში არამხოლოდ პროგნოზირებულს გადააჭარბა, არამედ ბოლო წლების და უმეტეს შემთხვევებში ათწლეულების რეკორდულ დონეს მიაღწია.

პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ეროვნული ბანკის გადანყვეტილება მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასთან დაკავშირებით, რაც ინფლაციური ბენოლის შემამცირებელი კლასიკური ბერკეტია. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2021 წლის მარტიდან დაიწყო რეფინანსირების განაკვეთის ზრდა და განაკვეთი ჯამურად 2.5 პროცენტული პუნქტით, 10.5 პროცენტამდე გაზარდა. აქვე უნდა ვახსენოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯების და ბიზნესის დადებითი მოლოდინების შედეგად არსებითად სტაბილურია ჩვენი ეროვნული ვალუტა და მეტიც 2021 წლის მეორე კვარტლიდან ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის გამყარების ტენდენცია ფიქსირდება. ეს ყოველივე რათქმაუნდა ჩვენი მთავრობის დაბალანსებული და თანმიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. არსებული პროგნოზით, 2022 წლის გაზაფხულიდან ინფლაცია შემცირებას დაიწყებს და 2022 წლის ბოლოსკენ მიზნობრივ დონეს დაუბრუნდება, რასაც, დროებითი ფაქტორების მიღევასთან ერთად, არსებული გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკის შენარჩუნება, ფისკალური კონსოლიდაცია და მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკა შეუწყობს ხელს.

გარდა ამისა, ქმედითი ნაბიჯები იდგმება ეკონომიკური პროფილის სამინისტროების მხრიდან ეროვნული საექსპორტო და იმპორტ-ჩამნაცვლებელი წარმოების განვითარების მიმართულებით, რაც სამუალოვადიან პერსპექტივაში შეამცირებს ჩვენი ქვეყნის იმპორტ დამოკიდებულებას ინდუსტრიული თუ სასურსათო პროდუქციის ნაწილში და შედეგად, ნაკლებად ვიგრძნობთ საგარეო ბაზრებზე პროდუქციის გაძვირებას. ქვეყანაში არსებული სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები ხელს უწყობს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას და ამ გზით ადგილობრივი წარმოების გაფართოებასა და მიწოდების სტიმულირებას. შეგახსენებთ, რომ 2020-2021 წლებში მოხდა ბიზნესის მხარდაჭერის ახალი პროგრამების ამოქმედება და ასევე ძველი პროგრამების მოდიფიცირება ახალი გამოწვევების საპასუხოდ. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ფისკალური პოლიტიკაც ინფლაციის შემცირების

ხელშეწყობა. 2021 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 9.3 პროცენტიდან შემცირდა 6.2 პროცენტამდე, ხოლო 2022 წელს დაგეგმილია ბიუჯეტის დეფიციტის 4.4 პროცენტამდე შემცირება. შესაბამისად, ფისკალური პოლიტიკის მხრიდან ფასების ზრდაზე ზეწოლა მნიშვნელოვნად იხსნება.


ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული გადანაცვტილებით მოხდა მედიკამენტების შემოტანისთვის თურქეთის ბაზრის გახსნა, რის შედეგადაც საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე გაჩნდება მაღალი ხარისხის და კონკურენტული ფასის მქონე მედიკამენტები. აღნიშნული გადანაცვტილება გაზრდის ფარმაცევტულ ბაზარზე კონკურენციას და ხელს შეუწყობს ინფლაციის შემცირებას სამომხმარებლო კალათის განსაკუთრებით აუცილებელ და მეტად სენსიტიურ პროდუქტებზე.

ამასთან, მთავრობა აქტიურ ნაბიჯებს დგამს ყველაზე მოწყვლადი საზოგადოებრივი ჯგუფებისთვის ფასების ზრდის ნეგატიური ეფექტის დაკომპენსირებისთვის. მთავრობის გადანაცვტილებით, მიზნობრივ ჯგუფებს - მილიონამდე ადამიანს ელექტროენერჯის ტარიფის ნაზარდი დაუსუბსიდირდება.

ყველა ზემოთხამოთვლილი გადანაცვტილება კი გვაძლევს ინფლაციის შეკავების და პანდემიამდე ნიშნულამდე მისი შემცირების მოლოდინს.

პატივისცემით,

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად 

ნათელა თურნავა